საქართველოს მთავრობის

დადგენილება №80

2015 წლის 23 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით (სსმ, 2008 წელი, №29) დამტკიცებულ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11^1 პუნქტი:

„11^1. შიდა აუდიტის დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) შიდა აუდიტისა და ფინანსური კონტროლის სამმართველო;

ბ) სამსახურებრივი დისციპლინის უზრუნველყოფის სამმართველო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**